ხელიდან გაშვებული გამარჯვება

კუიბიშევი. “დინამოს” სტადიონი. 3 სექტემბერი.

“კრილია სოვეტოვი” (კუიბიშევი) - “დინამო” (თბილისი) - 3:3 (1:1).

“კრ. სოვეტოვი”: სოკოლოვი, მაიოროვი, სარიჩევი, კაპსინი, გეცკო, გრიშინი, ფედოროვი, კოხი, ოსიანინი, ჟუკოვი, კიკინი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, მეტრეველი, მესხი.

მსაჯი: პ. ბელოვი (ლენინგრადი).

მართალი გითხრათ, ჩვენ, კუიბიშეველი მაყურებლები არ მოველოდით ასეთ დიდი შედეგს იმ ორი გუნდის შეხვედრაში, რომლებსაც ქულები ესაჭიროებათ ისე, როგორც არასოდეს. გასაგებია თბილისის “დინამოს” განწყობილება, რომელიც ახლა წარმატებით იბრძვის ჩემპიონის წოდებისათვის, მაგრამ შედით ჩვენს მდგომარეობაშიც: “კრილია სოვეტოვისთვის” საკმარისია ერთი წაფორხილება და მისი მომავალი “ა” კლასის მეორე ჯგუფია. აქ იბრძოლებ ისე, რომ თვით თბილისის “დინამოს” კარშიც კი გაიტან 3 ბურთს.

“უხვმოსავლიანი” თამაში დაიწყო ჯერ კიდევ დუბლიორებიდან, როცა სტუმრებმა სრული უპირატესობით ჩაატარეს მატჩი და დაამარცხეს მოწინააღმდეგე დიდი ანგარიშით - 5:0.

ასევე დაწინაურებული იყვნენ “ძირითადი დინამოელებიც”. მართალია, პირველი ბურთი გატანილ იქნა “კრ. სოვეტოვის” მიერ, მარცხენა მცველის გეცკოს რეიდის შემდეგ, მაგრამ ტაიმის დასასრულს მეტრეველმა კარგად გაიყვანა გოლის წინ ბარქაია და ანგარიშიც გათანაბრებულ იქნა - 1:1.

დაიწყო მეორე ტაიმი და კუიბიშეველ გულშემატკივრებს ქულის აღების ყოველგვარი იმედი წაერთვათ. “დინამოს” თავდასხმის სწრაფი, შეუჩერებელი იერიშების წინაშე მასპინძელთა დაცვა უძლური აღმოჩნდა. 55-ე წუთზე გაპსინმა ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი მეტრეველის დარტყმის შემდეგ. გავიდა მცირე ხანი, დათუნაშვილმა მიიღო ბარქაიას გადაცემა და ძლიერად დაარტყა კარში. ბურთი მოხვდა ერთ-ერთ მცველს, რის შემდეგ გავიდა კარში - 2:1. ათიოდე წუთის შემდეგ მეტრეველი პირისპირ დარჩა მეკარე სოკოლოვთან და მცველები იძულებული იყვნენ აკრძალული ილეთით შეეჩერებინათ ფორვარდის გარღვევა. პენალტი ზუსტად გამოიყენა “დაზარალებულმა” და დინამოელები კიდევ უფრო წინ გავიდნენ - 3:1.

“კრილია სოვეტოვი” დამარცხების რეალური საშიშროების წინაშე იმყოფებოდა. ორი ბურთის გაქვითვა დარჩენილ დროში შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა, მაგრამ კუიბიშეველმა ფეხბურთელებმა გამოძებნეს საამისო ძალები და ამ უიმედო სიტუაციაში გადაარჩინეს წაგებული მატჩი.

ეტყობა, თბილისელთა მცველები არ მოელოდნენ მასპინძელთა ასეთ შტურმს. 70-ე წუთზე მათი განლაგება დაირღვა და ოსიანინმა მეორე ბურთის გაქვითვა შეძლო - 2:3. კუიბიშეველთა იერიშები ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა და კოხმა გაიტანა მესამე გოლი, რომელმაც “კრ. სოვეტოვს” მოუტანა ფრე (3:3) და მასთან ერთად ესოდენ საჭირო ქულა.

ე. შიპანოვი. კუიბიშევი.

“ლელო”, 5 სექტემბერი, 1964 წ.